ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/01

დაბა ქედა, 31 იანვარი, 2020 წელი

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 12:00 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა შუქრი თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან დევაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
რეზო თურმანიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა გორგილაძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
სილოვან ბერიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
როსტომ შერვაშიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე;
კარლო თურმანიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
უშანგი დუმბაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ტარიელ მანველიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე;
ბაქარ ბარამიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ოთარ ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ზურაბ თავდგირიძე - საკრებულოს წევრი;
ამირან ცინცაძე - საკრებულოს წევრი;
ბადრი შავლიძე - საკრებულოს წევრი;
თემურ ავალიანი - საკრებულოს წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა:
არჩილ გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველების"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გათენაძე - საკრებულოს წევრი;
რამინ ბერიძე - საკრებულოს წევრი;
გენადი არძენაძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე- საკრებულოს აპარატის უფროსი;
ჰამიდა ზოიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/1 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

31 იანვარი 2020 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	შუქრი თურმანიძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
4	რეზო თურმანიძე	კომისიის თავმჯდომარე	
5	გოჩა გორგილაძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	სილოვან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	არჩილ გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
9	ვაჟა ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
10	როსტომ შერვაშიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	ტარიელ მანველიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	კარლო თურმანიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	ბაქარ ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	უშანგი დუმბაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ამირან ცინცაძე	საკრებულოს წევრი	
18	ბადრი შავლიძე	საკრებულოს წევრი	
19	ოთარ ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
20	ზურაბ თავდგირიძე	საკრებულოს წევრი	
21	თემურ ავალიანი	საკრებულოს წევრი	
22	რამინ ბერიძე	საკრებულოს წევრი	
23	გენადი არძენაძე	საკრებულოს წევრი	
24	გოჩა გათენაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 იანვრის №01-06/01 მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი მამია გვარიშვილი

თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2019 წელს პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ეკატერინე ქაჯაია

თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 იანვრის №01-06/01 მორიგი სხდომის წარმოდგენილი დღის-წესრიგი.

1. მოისმინეს: „„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძემ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში უნდა დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე (შიდა დოკუმენტი №21-04 29.01.2020 წ. და №22-04 29.01.2020 წ).

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას განახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2020 წლის 17 თებერვლის დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2020 წლის 24 თებერვლის დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 28 თებერვალი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №1).

2. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსმა მამია გვარიშვილმა ქედის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და განმარტა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრისა და თანმდევი სამართლებრივი შედეგების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 29 ივნისის №73 განკარგულების სამართლებრივი საფუძველის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა, ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრა და დამტკიცება შემდეგი სახით:

1. სპორტის სფეროში გამართული ღონისძიებების დაფინანსების ნორმები განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) დღიური კვების თანხა:

ა.ა) სპორტსმენები – 15 ლარი ერთ კაცზე;

ა.ბ) მწვრთნელები – 15 ლარი ერთ კაცზე;

ა.გ) მსაჯები - 15 ლარი ერთ კაცზე;

ა.დ) ტექნიკური პერსონალი – 10 ლარი ერთ კაცზე;

ა.ე) სამედიცინო პერსონალი – 10 ლარი ერთ კაცზე;

2. შიდა ღონისძიებებზე – ქვეყნის შიგნით, ეროვნული შეჯიბრებებისა და სასწავლო – საწვრთნო შეკრებებზე სპორტული დელეგაციის საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯი დღე–ღამეში ერთ კაცზე განისაზღვროს არაუმეტეს 50 ლარისა (შემოსული დოკუმენტი №4/04 29.01.2020 წ.).

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სპორტის სფეროში გამართული ღონისძიებების დაფინანსების ნორმებში განსხვავება არ უნდა იყოს, უმჯობესი იქნება ბიუჯეტის კორექტირებისას მოხდეს ცვლილებების შეტანა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 2 (ვაჟა ბოლქვაძე და ბაქარ ბარამიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

(განკარგულება №2).

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2019 წელს პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა ეკატერინე ქაჯაიამ საკრებულოს

წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2019 წელს პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების შესრულების შესახებ ანგარიში (შემოსული დოკუმენტი №3/04 27.01.2020 წ. და №22-04 29.01.2020 წ.).

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, თუ რატომ არ ჩატარდა გასულ წელს გურამ ჯიჯავაძის სახელობის ტურნირი?

მომხსენებელმა განმარტა, რომ გურამ ჯიჯავაძის სახელობის ტურნირი უნდა ჩატარებულიყო გასული წლის ნოემბერში, თუმცა აჭარის მუნიციპალიტეტებმა ვერ შეძლეს ღონისძიებაში მონაწილეობა და გამოთქვეს სურვილი ტურნირის 2020 წელს ჩატარებისა.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს და მოითხოვა განმარტება სპორტული და კულტურული ღონისძებების განხორციელების ელექტრონული ტენდერით შესყიდვაში ძირითადად ორი ორგანიზაცია - შპს ზენდიდი 2015 და შპს ჯიჯო 2013 რატომ იმარჯვებს?

აღნიშნულთან დაკავშირებით მომხსენებელა განმარტა, რომ კანონმდებლობით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა ელექტრონულ ტენდერში, გამარჯვებულთან ფორმდება შესყიდვის ხელშეკრულება და სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულებაზე და მიღება-ჩაბარებაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

(განკარგულება №3).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და 12:00 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **შუქრი თურმანიძე**

ოქმი შეადგინა:

საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა

და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **ჰამიდა ზოიძე**